Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#14, ნოემბერი, 2020

ბაკალავრის ხარისხის შეფასება განათლებისა და დასაქმების პერსპექტივაში

მიხეილ ოსიშვილი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: mishikoosishvili1@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების საკითხი კვლავ აქტუალურია. საინტერესოა, უნივერსიტეტში ჩაბარება განათლების მიღებასა და ცოდნის გაღრმავებას ემსახურება, თუ მისი დასაქმებისთვის აუცილებელ მოთხოვნათა ნუსხაში პრიორიტეტულობით არის განპირობებული. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენს სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვების არსებითი მოტივაციების გამოვლენა და მათ მიერ დიპლომის მთავარი ღირებულების განსაზღვრა. შესაბამისად, კვლევის ამოცანებია: 1) უმაღლესი განათლების მიღების მთავარი მიზნების იდენტიფიცირება; 2) აკადემიურ სივრცეში სტუდენტების სწავლის მოტივაციის დონის განსაზღვრა; 3) ბაკალავრის განათლების ხარისხის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნების ჭრილში; 4) სტუდენტებისთვის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის, დიპლომის მნიშვნელოვნების დონის დადგენა. კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, კერძოდ კი ექსპერტთა გამოკითხვით, სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით. შერჩევამ მოიცვა 8 ექსპერტი. კვლევის ძირითად შედეგს კი წარმოადგენს, ის, რომ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი-დიპლომის მოპოვება არის უფრო მნიშვნელოვანი. ასევე, აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს სწავლისადმი მოტივაცია ჩაბარებამდე უფრო მაღალი ჰქონდათ, ვიდრე ჩაბარების შემდგომ. რესპონდენტები უნივერსიტეტისგან მიღებულ ცოდნას საშუალოდ აფასებენ. მთავარი მიზანი ჩაბარებისა კი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევით განისაზღვრა და შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების სურვილიც იგივე მოტივით არის განპირობებული.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, განათლების აღიარების დიპლომი, შრომის ბაზარი, დასაქმება.

შესავალი

დღევანდელ საზოგადოებაში, სადაც განათლება არის ყველაზე დიდი შენაძენი, წარმოუდგენელია განათლების გარეშე სრულფასოვნად არსებობა. ცივილიზებულ სამყაროში კომპიუტერი, ინტერნეტი, გენური ინჟინერია და სხვა უახლესი ტექნოლოგიები იჭრება ყოველდღიურ ცხოვრებაში და მნიშვნელოვნად ანაცვლებს ადამიანურ რესურსებს. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში უმთავრესი შენაძენი სწორედ განათლებაა.

განათლებისა და დასაქმების სფეროები სოციალური სტრატიფიკაციის აგენტად გვევლინება. სოციალური პრესტიჟისა და სტატუსის მოპოვების სურვილი ხდება განმსაზღვრელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისკენ სწრაფვისას. რა არის რეალურად უმთავრესი მიზანი, განათლება თუ დასაქმებისთვის ბაზისის მომზადება? განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი სოციალური პრესტიჟის ფუნქციას ატარებს, სწორედ ამ პუნქტში ეხება ვებერი განათლებისა და სოციალური სტრატიფიკაციის ურთიერთმიმართების საკითხს. დიპლომი და მისგან მომდინარე პრესტიჟი მისი მფლობელისთვის შრომის ბაზარზე ეკონომიკურ უპირატესობად გადაიქცევა. ასევე, იგი სტატუსის ამაღლების პირობა შეიძლება გახდეს. ვებერი წერდა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში, რომელშიც ძალაუფლებრივი პოზიციები ბიუროკრატიული აპარატის ხელშია მოქცეული, განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ის მნიშვნელობა აქვს, რა მნიშვნელობაც გვაროვნულ კუთვნილებას (არისტოკრატიას) ჰქონდა (Weber, 1964).

განათლებისადმი მზარდი მოთხოვნილება და უმაღლესი სასწავლებლების მზარდი რაოდენობა მიუთითებს მის აქტუალურობაზე. ქვეყანაში შეინიშნება დისბალანსი განათლებასა და დასაქმების ბაზარს შორის. უმაღლეს განათლებულთა სეგმენტი გაცილებით სცილდება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს, შეიძლება პირიქითაც ითქვას, სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს ვერ პასუხობს უმაღლესი განათლების სეგმენტი. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი კვლავ არ კარგავს აქტუალობას და საინტერესოა, რა მიზნები ამოძრავებთ ახალგაზრდებს, როდესაც უმაღლესი განათლების მიღებით ინტერესდებიან და აბარებენ უნივერსიტეტებში.

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის 2013 წლის კვლევაში ვკითხულობთ, რომ უმაღლესი განათლება საქართველოში შემოსავლებისა და დასაქმების მაჩვენებლების ზრდის მნიშნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს. უმაღლესი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალი, დაქირავებული შრომიდან, ზოგადი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალზე თითქმის ორჯერ უფრო მაღალია. სქესის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების პირობებში, უმაღლესი განათლების მქონე პირის დასაქმების შანსები საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით, 2-ჯერ იზრდება, ხოლო დაქირავებით დასაქმების ალბათობა - თითქმის 5-ჯერ. მაგისტრატურის დამთავრება უმაღლესი განათლების მქონე პირისათვის არ იწვევს მნიშვნელოვან ნამატს სახელფასო შემოსავლებში, თუმცა მაგისტრის დიპლომის მქონე პირის დასაქმების შანსები 70%-ით მაღალია ბაკალავრის დიპლომის

მქონე პირთან შედარებით (განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2013).

მსგავს შედეგებზეა საუბარი 2014 წელს ვაშინგტონში ფიუს კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის ღირებულების შესაფასებლად ახალგაზრდების გამოცდილება და დასაქმების ხარისხი მნივნელოვანი ინდიკატორი აღმოჩნდა. სტუდენტები საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობითა და სამსახურით კმაყოფილებას უკავშირებენ თავიანთ განათლების ხარისხს. აღნიშნულ კვლევაში, ერთმანეთს შეადარეს საშუალო სკოლის ატესტასტისა და უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე ახალგაზრდები. ისინი, ვისაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, 25-დან 32 წლამდე რესპონდენტები დასაქმებულები არიან მთლიან განაკვეთზე და წლიურად გამოიმუშავებენ იმაზე მეტს, ვიდრე მხოლოდ სკოლის ატესტატის მქონე ახალგაზრდები. უმაღლესდამთავრებულთა 86 პროცენტი მიიჩნევს, რომ სამსახური, სადაც მუშაობენ, ერთ-ერთი საფეხურია კარიერული წინსვლისა, აქვთ უკეთესი მომავლის იმედი, ხოლო საშუალო სკოლის ატესტატის მქონეთათვის სამსახური, სადაც მუშაობენ არ აძლევთ საშუალებას განვითარდნენ, არც ამის იმედი აქვთ. მათ ასევე უწევთ უფრო მეტი ძალისხმევის დახარჯვა, რომ დასაქმდნენ სასურველ ადგილსა და პოზიციაზე (Pew Research Center survey, 2014).

სურსოკისა (Sursock, A.) და შმიდტის (Smidt, H.) 2012 წლის კვლევაში ,,2010 წლის ტენდენცია: ევროპის უმაღლესი განათლების ცვლილება" ვკითხულობთ, რომ ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში უმაღლესი განათლება მსოფლიო განვითარებისა და კონკურენციის მამოძრავებელი სისტემაა. იგი განიხილება როგორც „ეკონომიკის ძრავა", რომელიც კვლევისა და ინოვაციის გზით ხელს უწყობს ახალი ცოდნის შექმნასა და სამუშაო ძალის კომპეტენციების მუდმივ განვითარებას (Sursock & Smidt, 2012).

ევროპის ქვეყნებში განხორციელებული უახლესი კვლევები ასევე აჩვენებს, რომ შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების (სრული ზოგადი განათლება ან უფრო დაბალი) დასაქმების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით. გარდა ამისა, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირებისათვის სიტუაცია უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში სულ უფრო უარესდება და მათი დასაქმების ალბათობა მუდმივად მცირდება (McIntosh, 2004).

ყოველივე აქედან გამომდინარე, როგორც საქართველოს მაგალითზე, ისე საერთაშორისო პრაქტიკებზე დაყრდნობით, შეიძლება იმის თქმა, რომ მიღებული განათლების საფეხური მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დასაქმების შანსებს და მაღალი ეკონომიკური მდგომარეობის ერთგვარი გარანტია. შესაბამისად, საინტერესოა, სწორედ ეს ხომ არ არის მთავარი მაპროვოცირებელი იმისა, რომ ადამიანებმა მიიღონ უმაღლესი განათლება. ამგვარად, არსებული საკითხი საკმაოდ აქტუალურია და საჭიროებს დამატებით კვლევას იმის გასარკვევად, განათლების მიღებას საფუძვლად უდევს ცოდნის გაღრმავების სურვილი თუ დასაქმების შანსების ზრდა.

ლიტერატურის მიმოხილვა

განათლების ცნების დეფინიაციაში, ენტონი გიდენსისა და პიტერ სუტონის მიხედვით, ძირითადი მომენტი პირდაპირი სწავლების გზით ერთი თაობიდან მეორე თაობაში ცოდნის გადაცემა უნდა იყოს. მისი აზრით, საგანმანათლებლო პროცესები ნებისმიერ საზოგადოებაში მიმდინარეობდა, მაგრამ მან მასობრივი ხასიათი თანამედროვე ეპოქაში მიიღო, რაც განათლების ცნების შინაარსის დადგენისას, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია. თანაც, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც, რომ განათლების მიღების სურვილის მასობრივმა ხასიათმა სპეციალური საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზება მოითხოვა, რომელშიც ინდივიდი თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან დროს ატარებს (Giddens & Sutton, 2013).

განათლების სოციოლოგიის მიხედვით, განათლების ფუნქციებზე მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება, რომ ის ყოველთვის შესაბამისობაშია საზოგადოების მდგომარეობასა და მოთხოვნებთან, ამიტომ მათი გადასინჯვა, როგორც წესი, საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. თავის ზოგად ფუნქციებთან ერთად, რომელშიც უმთავრესი ცოდნის გაღრმავება და შემეცნებაა, განათლებას, თავისი სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, შესაბამისი ფუნქციები გააჩნია, რომელთაგან მეცნიერებმა ძირითადად გამოყვეს:

• ინოვაციური ფუნქცია _ კონსერვატიულობის მიუხედავად, განათლება, სოციალური სინამდვილისადმი შესაბამისობიდან გამომდინარე, მთელი რიგი ცვლილებების სტიმულატორია;

• შემეცნებითი ფუნქცია _ თაობიდან თაობაში ცოდნისა და უნარების გადაცემა;

• სოციალური სტრატიფიკაციის ფუნქცია _ რომელიც გამოყვეს ბოულზმა და ჰინტისმა და მოიაზრებს საზოგადოებაში გაბატონებული ეკონომიკური სისტემის მხარდაჭერას;

• სოციალური მობილობის ფუნქცია _ ის სოროკინმა გამოყო და გულისხმობს სოციალური იერარქიის კიბეზე ვერტიკალური და სოციალური მობილობის განათლების დონეზე დამოკიდებულებას;

• სელექტორული ფუნქცია _ პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი კადრების შერჩევა განათლების მიხედვით ხდება;

• სოციოკულტურული ფუნქცია _ განათლების მეშვეობით კულტურის კვლავწარმოება ხდება;

• სოციალიზაციის ფუნქცია _ განათლების მეშვეობით ადამიანი არა მარტო ცოდნას, არამედ საზოგადოების წევრად ყოფნისთვის აუცილებელ როლებს, კულტურულ ნორმებსა და უნარ-ჩვევებს იღებს;

• ინტეგრაციული ფუნქცია _ ადამიანთა ინტეგრირება ერთ სოციუმად ან ჯგუფად;

• სტატუსური იდენტობის შენარჩუნების ფუნქცია _ ამ ფუნქციის გამოყოფა რენდალ კოლინზის სახელს უკავშირდება. ის მიუთითებს, რომ ადამიანები საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალურ სტატუსს განათლების მეშვეობით ინარჩუნებენ (ქეცბაია, 2014).

განათლების საკითხზე და მის ფუნქციებზე საუბრისას აღსანიშნავია ბურდიეც (Bourdieu), რომლის აზრით, სოციალური დაყოფები თუ კლასიფიკაციები განათლების სისტემების მეშვეობით გადაიცემებიან და ბატონობის ფორმებს წარმოადგენენ. ბურდიეს მიხედვით, კაპიტალი არის საკუთარი და სხვისი ბედის კონტროლის უმთავრესი საშუალება და რესურსი. ის ასევე საუბრობს კულტურილ კაპიტალზე, რომელიც არის განათლება და შესაბამისი დიპლომი, აგრეთვე ინდივიდის კულტურული დონე, რომელიც სოციალიზაციის ფარგლებში მიიღება. ადამიანზე სიმბოლური ძალადობის განმახორციელებელი მთავარი ინსტიტუტი განათლების სისტემაა. ბურდიეს მიაჩნია რომ განათლების სისტემა ღრმადაა ჩაფლული არსებული ძალაუფლებრივი და კლასობრივი მიმართებების კვლავწარმოების პროცესში (Bourdieu, 1988).

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ მანუელ კასტელსის (Castells) მოსაზრებაც, რომელიც აღნიშნავდა, რომ წარმატების მიღწევა დამოკიდებულია არა მემკვიდრეობით მიღებულ კაპიტალზე, არამედ ინფორმაციულ უნარ–შესაძლებლობებზე, რომლებიც ძირითადად უნივერსიტეტებში მოიპოვება და შეიძინება. ამის შემდეგ ისეთი მუშაკებისათვის, ვინც თავისი უნარ-ჩვევების დამადასტურებელი დოკუმენტი უნივერსიტეტის დიპლომის სახით მიიღო, ყოველი კარი იხსნება. თუმცა შემდგომი წარმატებებისათვის პირადი მიღწევების "პორტფოლიო" აუცილებელია. კასტელსი ამტკიცებს, რომ ეკონომიკური კაპიტალის ფლობა არ არის საკმარისი ძალაუფლების ბერკეტების შესანარჩუნებლად. მაშასადამე, კარები ღიაა იმათთვის, ვისაც უნივერსიტეტის დიპლომი ან ხარისხი აქვს და ვისაც მიღწევათა შთამბეჭდავი "პორტფოლიოს" შედგენა ძალუძს; და პირიქით, კარები იკეტება მათთვის, ვისაც მიუხედავად მემკვიდრეობით მიღებული კაპიტალისა, ინფორმაციონალური მუშაკის კვალიფიკაციის მიღება არ ძალუძს (Castells, 1997).

აქვე საინტერესოა, რომ სიუ მიდლტონი (Middleton) საკუთარ ნაშრომში განიხილავს ჰენრი ლეფებვრეს მოსაზრებებს, რომლის მტკიცებითაც უმაღლესი განათლების მიუხედავად, ადამიანებმა შეიძლება იმუშავონ დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე; ან პირიქით, საშუალო განათლების ადამიანმა დიდ წარმატებას მიაღწიოს სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანთა უმრავლესობისთვის სკოლა და კოლეჯი არის ერთგვარი ფილტრი, რომელიც ეხმარება მათ მომავალი საქმიანობის გასზაღვრაში. ამგვარი ფუნქციონალური მიდგომის თანახმად, განათლება არის ადამიანების, მათი შესაძლებლობების მიხედვით, გონივრული გადანაწილების საშუალება. აქედან გამომდინარე, ყველაზე ნიჭიერები და მონდომებულები უნდა იკავებდნენ ყველაზე კარგ თანამდებობებს (Middleton, 2014).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვების არსებითი მოტივაციების გამოვლენა და დიპლომის მთავარი ღირებულების განსაზღვრა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, შემუშავდა შემდეგი ამოცანები:

- განათლების მიღების მთავარი მიზნების იდენტიფიცირება;
- აკადემიურ სივრცეში სტუდენტების სწავლის მოტივაციის დონის განსაზღვრა;
- წარმატებულად დასაქმებისთვის აუცილებელი კრიტერიუმების გამოყოფა;
- ბაკალავრიატის საფეხურის განათლების ხარისხის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის მნიშვნელოვნების დონის დადგენა.

აღნიშნული თემის შესასწავლად, შეირჩა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ექსპერტთა გამოკითხვები. გამოიკითხა რვა ექსპერტი, მათგან ორი იყო განათლების ექსპერტი, ორი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულების ლექტორი, ერთი შრომისა და ორგანიზაციის სოციოლოგიის მიმართულების ლექტორი, ორი ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი და ერთი შრომისა და განათლების-პერსონალის შერჩევის პროგრამის ლექტორი. ექსპერტთა გამოკითხვა საშუალებას იძლეოდა განათლების საკითხების შესახებ პროფესიონალი ადამიანებისგან მიგვეღო საჭირო ინფორმაცია, რომელიც შემდგომ ეტაპზე დაგვეხმარებოდა საკვლევი ინსტრუმენტის გამართვასა და საჭირო საკითხებზე ყურადღების გამახვილებაზე, იმისთვის, რომ კვლევა სწორი მიმართულებით წარმართულიყო.

კვლევის ფარგლებში, ინტერვიუების ჩატარების შემდეგ მოხდა მათი ტრანსკრიპტის სახით ჩაწერა. მიღებული მონაცემები დამუშავდა პროგრამა “NVivo”-ს გამოყენებით და საბოლოოდ გამოიყო 4 ქვეკატეგორია:

- საქართველოში განათლების ზოგადი დონის შეფასება ბაკალავრიატის ხარისხის ჭრილში;
- სამუშაო ბაზრის მოთხოვნები და მიდგომები;
- უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის შესაბამისობა პრაქტიკაში გამოყენებასთან;
- განათლება განათლებისთვის თუ განათლება დასაქმებისთვის.

კვლევის შემდეგ ეტაპზე აღნიშნული კატეგორიები გაანალიზდა და მიღებული შედეგები ინტერპრეტირდა, რის საფუძველზეც მოხდა დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოტანა.

საქართველოში საბაკალავრო საფეხურზე სწავლების დონის ზოგადი შეფასება

ექსპერტები საქართველოში განათლების ზოგად სურათს, დონეს აფასებენ როგორც დაბალს. თუმცა, მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ სურათი კონტრასტულია და ცალსახად შეფასება რთულია. მათი აზრით, განათლების დონე შედარებით მაღალია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სამართალმცოდნეობაში, ბიზნესის მიმართულებით, სოციალურ მეცნიერებებში და ძალიან დაბალი დონეა საინჟინრო-ტექნიკური და სამედიცინო მიმართულებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რაოდენობრივი კვლევის შედეგების შესაბამისად, 2018-2019 წლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტებში, სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 147 714-ს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ზემოსენებული სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ახალგაზრდა აბარებს უმაღლეს სასწავლებლებში, ამ ფაქტს ექსპერტები რამდენიმე მიზეზით ხსნიან. მათი ნაწილი ფიქრობს, რომ უნივერსიტეტში ჩაბარება ერთგვარი ,,ვალდებულებაა“ და გაუცნობიერებლად მიმართავენ აღნიშნულ პრაქტიკას, მეტიც, სხვა ალტერნატივა არ აქვთ. მართალია, ქვეყანაში პროფესიული სასწავლებლებიც ფუნქციონირებს და ადამიანებს საშუალება აქვთ დაეუფლონ სასურველ სპეციალობას, თუმცა აღსანიშნავია, რომ სწავლების ეს საფრხური საკმარისად არ არის განვითარებული და ნაკლებად პრესტიჟულია, რის გამოც ამ საფეხურზე განათლება მიღებულ კადრებზე ნაკლები მოთხოვნაა. რაც შეეხება სხვა მამოტივირებელ ფაქტორებს, ექსპერტთა მოსაზრებების შეჯამებიბას გამოიყო: 1) კულტურული ფაქტორები: მშობლების სურვილი, ტრადიცია. 2) პრაგმატული ნაწილი: საზოგადოების ცნობიერებიდან შეფასებისას, უმაღლესი განათლება ასოცირდება დასაქმების უკეთეს შანსებთან.

> *,,დასაქმების მნიშვნელოვანი პირობაა. იმდენად ბევრია უმაღლესდამთავრებული, დამსაქმებელს რომ არც ჰქონდეს საჭიროება, მაინც წერს საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, რადგან ზოგადად უფრო განსხვავებული ფენის/ზოგადი განათლების/უნარების ადამიანებს იღებს ამით სამსახურში“ (ექსპერტი_1).*

მესამე ფაქტორია სოციალური პრესტიჟი. ჯერ კიდევ შემორჩა სტერეოტიპი, რომ ,,დიპლომის არქონა სირცხვილია“.

> *,,ვისაც არა აქვს უმაღლესი განათლება, იმ ადამიანების მიმართ ყოველთვის ჩნდება დამატებითი კითხვები, ანუ უმაღლესი განათლება ჩვენს საზოგადოებაში თავისი მნიშვნელობით უტოლდება საშუალო განათლებას, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში არა აქვთ უმაღლესი განათლება (ასეთია საზოგადოების აზრი, დამსაქმებელთა აზრი და ა.შ.“ (ექსპერტი_2).*

საქართველოში შექმნილ არსებულ რეალობას განამტკიცებს ნორსისთერ უნივერსიტეტის (Northeaster University) მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული კვლევა ,,რატომ არის ბაკალავრიატის ხარისხი მნიშვნელოვანი'', რომლის ავტორია ლინსი კნერლი (Linsey Knerl). კველვაში, ჩვენი ექსპერტების მსგავსად, დაფიქსირებულია მოსაზრება, რომ განათლების მიღება მნიშვნელოვანწილად უკავშირდება მომავალში დასაქმების შესაძლებლობების ზრდას. აქ საუბარია იმ შესაძლო მიზეზებზე, თუ რატომ უნდა მივიღოთ ბაკალავრის ხარისხი. კვლევის მიხედვით, ბაკალავრის ხარისხის მიღება წარმოადგენს იმ ხერხს, რომლის საშუალებითაც სტუდენტს შეუძლია გამოირჩეოდეს სხვებისგან კონკურენტულ შრომით ბაზარზე. ბაკალავრის ხარისხის მიღება კავშირშია თვითშეფასების ამაღლებასთან, პიროვნების პერსონალურ განვითარებასთან, ზრდის ფინანსური დამოუკიდებლობის დონეს. ეს უკანასკნელი ასევე წარმოადგენს აუცილებელ ეტაპს, რომ განაგრძო სწავლა შემდგომ საფეხურებზე.

რაც შეეხება უნივერსტიტეტების რაოდენობას საქართველოში, რესპონდენტების შეფასებით, სწორედ ზემოთ აღნიშნული რიგი მიზეზები ხდება საბაბი იმისა, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა ბაზარზე იარსებონ. ექსპერტთა მოსაზრებები ძირითადად ერთგვაროვანია და აღნიშნავენ, რომ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა საჭიროზე მეტია. განათლება გახდა კომერციული ვაჭრობის (ერთგვარი შემოსავლის) სფერო და პრობლემის აღმოფხვრის გზად მიაჩნიათ ოპტიმიზაცია. რომელი უნივერსიტეტიც დარჩება, ის უნდა იყოს ხარისხიანი განათლების მიმწოდებელი. ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ კომერციალიზაციის ფენომენი არსებობს როგორც საჯარო, ისე კერძო სასწავლებლებში.

უნივერსიტეტების ხარისხის შეფასებისას ექსპერტებმა დააფიქსირეს აზრი, რომ ძირითადი და უმთავრესი პრობლემა უნივერსიტეტებისა არის სწავლების მოძველებული სისტემა, რის ერთ-ერთ მაგალითადაც მოჰყავთ ის, რომ სწავლება, უმეტეს შემთხვევაში, ხდება მხოლოდ ქართული სახელმძღვანელოებით, რომელთა უმეტესობაც ძველი გამოცემებია და არ ითარგმნება ახალი სამეცნიერო ლიტერატურა. ეს კი სტუდენტებს ხელს უშლის, გაეცნონ ინოვაციურ მიღწევებსა და მოსაზრებებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. გარდა ამისა, უნივერსიტეტებში მოძველებულია სწავლების მეთოდები, რაზეც, მაგალითად, მიუთითებს ზოგად თეორიულ მასალებზე ყურადღების გამახვილება და სტუდენტების მიერ ნაკლები პრაქტიკული ცოდნის მიღება. ამასთანავე, არ ინერგება თანამედროვე მიღწევები, რომლებიც ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი საშუალებებით ცოდნის მიღებასა და სტუდენტების მხრიდან საკითხით დაინტერესებას. გარდა ამისა, არ ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება და შესაბამისი თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გადაცემა. ყოველივე აქედან გამომდინარე და სხვა მიზეზების გათვალისწინებითაც, ექსპერტთა აზრით, დღესდღეობით ქართველ სტუდენტებს არ აქვთ მზაობა საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე თამამად გასვლისა, რადგან განათლების სისტემის დასავლური სტანდარტები მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ქართული რეალობისგან.

შრომის ბაზრის მოთხოვნები და მიდგომები

გამოკითხული ექსპერტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მსოფლიოში შრომის პოლარიზაციას იქითკენ მივყავართ, რომ მცირდება ისეთი სამუშაო ადგილების რიცხვი, რომელსაც სჭირდება უმაღლესი კვალიფიკაცია და განათლება. განვითარებადი ქვეყნები ჩართულნი არიან შრომის მსოფლიო განაწილებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ გონებრივი, მაღალკვალიფიციური შრომა უფრო მეტად კონცენტრირდება განვითარებული ქვეყნების დედაქალაქებში. ინჟინრები ქმნიან პროტოტიპს და ამის აწყობა ხდება ჩინეთში, საქართველო კი, მათი შეფასებით, იმ დონეზეც არ არის, რომ ჩვენთან მოხდეს აწყობა, რაც დასაქმებასთან დაკავშირებულ სირთულეებს შედარებით შეამსუბუქებდა. ეკონომიკა ვითარდება იმ გზით, რომ განვითარებულია სერვის-სექტორი და ამ სექტორში იქმნება დაბალკვალიფიციური კადრების ადგილები: ბარმენები, მიმტანები, კურიერები. ამ სამსახურებს, ცხადია, უმაღლესი განათლება არ სჭირდება, თუმცა, დამსაქმებლების მოთხოვნებში უმაღლესი განათლების ქონა კვლავ იკავებს ადგილს.

უებსტერის (Webster) მიხედვით, დამსაქმებლების მხრიდან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების მიმართ კვალიფიციურ შრომაზე მოთხოვნა ძალიან გაზვიადებულია, მაშინაც კი, როდესაც სამუშაო თავისთავად განსაკუთრებული უნარ-ჩვევების ფლობას არც კი საჭიროებს. რაც უფრო მეტია დიპლომის მქონე კურსდამთავრებული, მით უფრო ნაკლებ ფასობს ეს დიპლომი პრესტიჟული სამუშაოს მიღებისას და მით უფრო მაღალია იმ უნივერსიტეტის შედარებითი პრესტიჟი, რომელმაც ეს დიპლომები გასცა (Webster, 2014).

გამოკითხული ექსპერტები დამსაქმებლების მხრიდან უმაღლესი განათლების მოთხოვნის ფენომენს შემდეგნაირად ხსნიან:

> *რადგანაც ბევრი მსურველია დასაქმებისა, დამსაქმებლებს აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ უფრო განათლებული და არა ნაკლებად განათლებული, მაგალითად, ბარმენობა მაინც თვითონ უნდა ასწავლოს, ამ შემთხვევაში დამსაქმებლისთვის დიპლომის ქონა არის სიგნალი, რომ ეს ადამიანი უფრო გონებაგახსნლია, უფრო მოტივირებულია, აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა (ექსპერტი_3).*

ე.წ. სიგნალის ეფექტის თეორიის (signaling effect theory) მიხედვით, განათლების მიღების მთავარი მოტივი ადამიანისთვის უნარიანობის დემონსტრირებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განათლების მიღებაზე უფრო მაღალ ღირებულებას დამსაქმებლისა და განათლებაში ჩართული პირისთვის დიპლომის მიღება წარმოადგენს და არა უშუალოდ განათლებაში ჩართვის შედეგად ახალი კომპეტენციების შეძენა. განათლების საფეხურის დასრულება დამსაქმებლისთვის ადამიანის უნარების მაჩვენებელს წარმოადგენს და ამ ადამიანისთვის დასაქმებიდან უფრო მაღალი შემოსავლების წინაპირობაა. მაღალპროდუქტიული ადამიანები, დაბალი პროდუქტიულობის მქონე ადამიანებთან შედარებით, ირჩევენ განათლების უფრო მაღალ საფეხურებს და სწორედ ეს აისახება მათ ხელფასებზე. სიგნალის თეორიის თანახმად, უმაღლესი განათლება თავისთავად კი არ სძენს საჭირო უნარ-ჩვევებს, არამედ უმაღლეს განათლებას იღებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უკვე

არიან აღჭურვილნი სათანადო უნარ-ჩვევებით და განსაკუთრებით მოტივირებულნი არიან, შესაბამისად, უმაღლესი განათლების ქონა დამსაქმებლისთვის არის მხოლოდ და მხოლოდ სიგნალი იმისათვის, რომ ადვილად გამოიცნონ ასეთი ადამიანები (Weiss, 1995).

ექსპერტების აღნიშვნით, პრაქტიკული ცოდნა და ადამიანის უნარები (ანალიტიკური, ლოგიკური, ახლის სწავლის უნარი, ორგანიზებულობა, გამოცდილებისადმი ღიაობა) უფრო მნიშვნელობს, ვიდრე დიპლომი. ამის მაგალითად მოჰყავთ პროგრამისტები, რომლებიც ბოლო დროს აღარ ამთავრებენ საქართველოში უმაღლეს განათლებას, ან უბრალოდ დიპლომს იღებენ. რეალურად თვითნასწავლები არიან, პრაქტიკაში იღებენ გამოცდილებას და 17 წლის ასაკისათვის უკვე სპეციალისტებად ყალიბდებიან. მათი თქმით, იგივე სიტუაცია გვაქვს გრაფიკული დიზაინის, სოციალური მედიის მენეჯმენტის და მსგავს დარგებში. განათლების სფერო ვერ ეწევა ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებულ 2017 წლის კვლევის ანგარიშში ,,უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა'' ვკითხულობთ, რომ დამსაქმებლების მოთხოვნების მიხედვით, აუცილებელია ახალი ინფორმაციებისა და უნარების ქონა, მოლაპარაკების ნიჭი, ინფორმაციის გაცნობის, გაანალიზებისა და გადმოცემის უნარი, ლიდერობისა და ჯგუფური მუშაობის უნარი, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის მოგვარების უნარი, ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარები. არსებული კვლევა კიდევ ერთხელ განამტკიცებს ჩვენი ექსპერტების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დამსაქმებლისათვის ცოდნა არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც დაქირავებულის უნარები. დიპლომიც, ამ შემთხვევაში, მუშახელის უნარ-ჩვევებს უსვამს ხაზს და ზრდის დამსაქმებლის ინტერესს კადრის მიმართ.

უკანასკნელ წლებში ქართულ შრომის ბაზარზე მოთხოვნილება გაჩნდა განსაზღვრული პროფესიული განათლების მქონე ადამიანების მიმართაც, რომლებსაც არ მოეთხოვებათ უმაღლესი განათლების დამდასტურებელი დიპლომი და საკმარისია სპეციალობის დამადასტურებელი დოკუმენტი. კვლევაში მონაწილე ექსპერტთა აზრით, არის გარკვეული სეგმენტი, რომელსაც აქვს მოთხოვნა პროფესიული განათლების მქონე კადრებზე, თუმცა ქვეყანაში მწვავე დეფიციტია. თუმცა შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების მქონე პირების მიმართ ორაზროვანი ტენდენცია ვლინდება: გამოკითხულ ექსპერტთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ პროფესიული განათლება თანამედროვე შრომით ბაზარზე ნაკლებად პოპულარულია და ამის მიზეზად ასახელებს საბჭოთა გამოცდილებას: ,,რადიკალურობა გვახასიათებს. ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირთან ასოცირდება, არის რადიკალურად ცუდი". რესპონდენტთა მეორე ნაწილის აზრით კი, დღესდღეობით უფრო და უფრო პოპულარული ხდება პროფესიული კოლეჯები: ,,იცვლება ტენდენცია, ადრე ასოცირდებოდა დაბალ დონესთან. ზოგიერთი კოლეჯი ძალიან პოპულარულია, იგივე კულინარიის და ბევრი კოლეჯი ისეთ კადრებს უშვებს, რომელთაც სამჯერ მეტი აქვთ ხელფასი, ვიდრე დიპლომიანს".

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიშის ,,შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის" მიხედვით, პროფესიულ სასწავლებლებში მიღებული კვალიფიკაცია ხშირად არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს შრომით კონკურენტუნარიანობას. მათი აზრით, პროფესიული სასწავლებლების ვალდებულება არა პროფესიის მიცემა, არამედ განათლების გარკვეული დონის დამადასტურებელი საბუთის გაცემაა.

შრომის ბაზარზე დასაქმებას ართულებს ისიც, რომ საქართველოში ნეპოტიზმის პრობლემა ჯერაც მწვავედ დგას, ამას ჩვენ მიერ გამოკითხული ექსპერტების უმრავლესობა ეთანხმება. რესპონდენტი, რომელსაც ადამიანური რესურსების მართვის სფეროში 15 წლიანი გამოცდილება აქვს, აღნიშნავს, რომ ქართველებისათვის სოციალური ურთიერთობები ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე საქმე, შედეგი, მიღწევები, პატიოსნება, კეთილსინდისიერება და სხვა ღირებულებები. ბევრად მნიშვნელოვანია დაეხმარო ნათესავს, მეგობარს, გქონდეს კეთილი, მზრუნველი, გავლენიანი ადამიანის იმიჯი, ვიდრე იყო პროფესიონალი, კომპეტენტური, კეთილსინდისიერი თანამშრომელი.

ამაზე საუბარია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებულ კვლევაშიც, სადაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაში პროფესიონალიზმის ნაკლებობა და ნეპოტიზმია, – 58% ფიქრობს, რომ პროფესიონალიზმის ნაკლებობაა, 46%–ს მიაჩნია, რომ ნეპოტიზმის პრობლემა არსებობს (NDI, 2017) .

საბოლოო ჯამში, როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, საქართველოს შრომის ბაზარზე ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებს დიპლომის მოთხოვნის მიმართ ინტერესი, იმის მიუხედავად, რომ მთელ რიგ დარგებში დიპლომზე უფრო მნიშვნელოვანი დაქირავებულის უნარ-ჩვევებია. გარდა ამისა, დასაქმების საკითხში ნაკლები პრივილეგიებით სარგებლობენ პროფესიული განათლების მქონე ადამიანები, რადგან მათ მიმართ განსაზღვრული სტერეოტიპები არსებობს, რომლებიც მათ როლს სამუშაო ბაზარზე აკნინებს. ასევე, გასათვალისწინებელია დასაქმებისას ნეპოტიზმის საკითხიც, რაც, რა თქმა უნდა, არაჯანსაღ და უსამართლო პირობებს ქმნის.

უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის შესაბამისობა პრაქტიკაში გამოყენებასთან

სასწავლო პროგრამის ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევა. ეს კი ხელს უწყობს სტუდენტის მომავალ დასაქმებას. ყველა ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ნებისმიერი პროგრამის კურსდამთავრებული უნდა იყოს კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე. ასევე, მას თავისუფლად უნდა შეეძლოს საზოგადოებრივ სექტორში დასაქმება და შემდეგი საფეხურის სასწავლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, იქნება ეს სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამა (განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, 2011:5-6).

გამოკითხული რესპონდენტების სრული უმრავლესობა თანხმდება, რომ პრაქტიკაში ცოდნის გამოყენებას სჭირდება არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკასთან სულ მცირედი კავშირი მაინც, თუმცა მათი აზრი იყოფა ორად:

რესპონდენტების პირველი ნაწილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტების უმრავლესობა ვერ ამზადებს სტუდენტებს სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ისინი დგებიან ფაქტის წინაშე, რომ ვერ ხერხდება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა, რაც კიდევ უფრო ზრდის უფსკრულს განათლებასა და დასაქმებას შორის. თავის მხრივ, დამსაქმებელთა უმეტესობა გამოცდილებას იმიტომ აქცევს დიდ ყურადღებას, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მას უწევს, თავიდან ასწავლოს სტუდენტს ყველაფერი, დასაქმების ადგილი გადაიქცევა ხოლმე საგანმანათლებლო ველად, რაც, დამსაქმებლებისთვის დისკომფორტის შემქმნელი ფაქტორია:

> *,,ეს პრობლემა განსხვავდება დარგების მიხედვით. მე მიკვლევია საკომუნიკაციო-საინფორმაციო სფერო. როგორც წესი, ტექნიკურ დარგებში უფრო მწვავედ ჩანს ეს აცდენა, თეორიულზეა ორიენტირებული სწავლება, კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე რომ გადიან, ყველა დამსაქმებელი ამბობს, რომ მათ თავიდან ასწავლიან პრაქტიკაში მუშაობის გამოცდილებას" (ექსპერტი_7).*

ექსპერტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას განამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2017 წელს მომზადებული კვლევის ანგარიში ,,უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა'', სადაც გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დიდია იმ საწარმოების ხვედრითი წილი (35.6%), რომლებიც ატარებენ დამატებით ტრენინგებს, რათა საკუთარ კადრებს მისცენ საჭირო ცოდნა, რაც მათ მუშაობაში დაეხმარებათ.

ექპსერტთა თქმით, მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რომ დამსაქმებელს შესაძლოა მეტი დრო და ენერგია დასჭირდეს გამოუცდელ კადრთან მიმართებაში, არამედ ის, რომ უნივერსიტეტი, რომელიც 4 წლის განმავლობაში ასწავლის სტუდენტს კონკრეტულ პროფესიას და ამას უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროგრამის მეშვეობით, ვერ უვითარებს იმ უნარებს, რაც ძირითად მოთხოვნებშია. უნივერსიტეტებს გავლილი აქვთ აკრედიტაცია, თუმცა ისინი მაინც ვერ ეწევიან ბაზრის მზარდ მოთხოვნებს, სწორედ ამიტომ, სწრაფი კურსები სულ უფრო პოპულარული ხდება, რომლებიც უმაღლესი განათლების დამატებით კომპონენტს წარმოადგენს. ეს კურსები ორიენტირებულნი არიან არა სიღრმისეულ განათლებაზე, არამედ პრაქტიკაზე, რაც ადამიანს დასაქმების საკითხში უფრო მეტად ეხმარება იმ პირობებში, როცა მას უმაღლესი სასწავლებლის დიპლომიც აქვს.

ექსპერტების მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ თეორიული განათლება არის აუცილებელი და ის, გარკვეული დოზით, ყველა სფეროს სჭირდება. მათი აზრით, კარგი თეორიული ბაზისი ერთგვარი გარანტია პრაქტიკული წინსვლისა. ამასთანავე, უნივერსიტეტში ადამიანები ცოდნას იღებენ როგორც

ექსპლიციტურად, ასევე იმპლიციტურად; ანუ ხდება ცოდნის მიღება გაცნობიერებულად, ძირითადად, თეორიული ცოდნის; უნივერსიტეტები ახალგაზრდებს ბევრ ისეთ თვისებას გამოუმუშავებენ, რომლებიც შესაძლოა სამუშაო გამოცდილებითაც ვერ მიიღოს და დასჭირდეს ბევრად მეტი წელი ამისათვის (პრეზენტაციის უნარები, კონსტრუქციული დისკუსია, სხვისი აზრის მიმღებლობა, ტოლერანტობა). სტუდენტები ხდებიან მეტად თავდაჯერებულები, უფრო კარგად ეცნობიან თავიანთ შესაძლებლობებს, უვითარდებათ კომუნიკაციური უნარები, ინტერპერსონალური ურთიერთობის უნარები, დამოუკიდებლობა რთულ სიტუაციებთან გამკლავებაში და სხვა. ასეთი განმავითარებელი და პიროვნულ ზრდაზე მზრუნველი გარემოს შექმნა იშვიათადაა შესაძლებელი სამსახურებში. ,,პირდაპირი კავშირიც რომ არ ჰქონდეს უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას სამსახურში კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელ ცოდნასთან, ეს უნარები ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული საქმიანობისას'' (ექსპერტი_ 4).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებულ 2017 წლის კვლევის ანგარიშში ,,უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა'' ვკითხულობთ, რომ ძირითადი პრობლემა, რომელიც ექმნებათ საწარმოებს ახალი კადრის აყვანისას, იმ ტექნიკური უნარ-ჩვევების არცოდნაა, რომლებიც დაკავშირებულია დაწესებულებაში გამოყენებულ კონკრეტულ აღჭურვილობასთან ან პროცესებთან (30.5%). შემდეგ მოდის, ჯგუფური მუშაობის უნარების ნაკლებობა (16%), ახალი ინფორმაციებისა და უნარების შეძენის ნიჭისა (13.2%) და გამოთვლის, წაკითხვის, მონაცემებისა და ცხრილების გამოყენების უნარების (9.6%) ნაკლებობა.

შეჯამების სახით, რესპონდენტთა უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ თეორიული განათლება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი სამომავლო წარმატებისთვის. რა თქმა უნდა, ყურადღება გამახვილებულია ხარისხიან განათლებაზე.

განათლება განათლებისთვის თუ განათლება დასაქმებისთვის

ექსპერტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ საქართველოში ისეთ ფენომენთან გვაქვს საქმე, როგორიც არის განათლება დასაქმებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლებისადმი მზარდი მოთხოვნაა, ის მაინც რჩება ე.წ. მოსამზადებელ საფეხურად დასაქმებისთვის. უმცირესობა კი მიიჩნევს, რომ განათლება განათლებისთვის არის ძირითადი განმსაზღვრელი, ასე რომ არ იყოს, მაშინ უმაღლესი განათლების მიღებას მნიშვნელობა დაეკარგება.

ექსპერტთა თქმით, დღესდღეობით საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ დასაქმების პრობლების არსებობა შესაძლოა მოაგვაროს უმაღლესმა განათლებამ და სწორედ ამიტომ განათლების განხილვა ნაკლებად ან საერთოდ აღარ ხდება დასაქმების ჭრილს მიღმა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც განათლებას განათლებისთვის იღებდნენ და მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ განათლების მიღება და არა მისი მატერიალური სარგებელი. უნივერსიტეტის იდეა არის ახალი ცოდნის შექმნა, თუმცა დღეს ეს იდეა მოდიფიცირდა და მივიღეთ ,,დამახინჯებული სტრუქტურა.''

> *,,სტუდენტები მოდიან განათლებისთვის, იმ განათლებისთვის, რომ მერე დასაქმდენენ, დასაქმება, მგონი, ყველას ინტერესში შედის, მაგრამ აქ ერთი პრობლემაა: განათლება განათლებისთვის კი არ უნდათ, ესე გამოდის. დღეს უნივერსიტეტის აღიქმება, როგორც მოსამზადებელი საფეხური შრომის ბაზრისთვის, უნივერსიტეტები არ არის დაწესებულება, რომელიც თქვენ დასაქმებისთვის გამზადებთ, ეს მხოლოდ მისი გვერდითი ფუნქციაა"* (ექსპერტი_ 7).

გარდა ამისა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის განათლება არაა ისეთი იაფი, რომ მხოლოდ განათლებისათვის იღებდნენ. განათლებაში ფულს მშობლები შვილების უკეთესი მომავლისათვის, დასაქმებისათვის დებენ. სწორედ ამიტომაა პოპულარული ზოგიერთი პროფესია მეტად, ვიდრე სხვა, სადაც მეტი ალბათობაა დასაქმების და მაღალი შემოსავლის მიღების.

მშობლების სურვილს, შვილი იყოს უფრო წარმატებული და იმყოფებოდეს სოციალური კიბის მაღალ საფეხურზე, კარგად ხსნის ნეილ სმელზერი (Smelser), რომელიც სტრატიფიკაციის ფენომენზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თეორიის მიხედვით, განათლების პროცესი ადამიანს არა მხოლოდ ამზადებს კონკრეტული საქმიანობისთვის, არამედ გავლენას ახდენს მის სტატუსზე. სტატუსი კი მის მდგომარეობას განაპირობებს სოციალური იერარქიის კიბეზე. თანამედროვე საზოგადოებაში განათლება ხელს უწყობს ადამიანს სოციალურ კიბეზე მაღალი ან დაბალი პოზიციის დაკავებაში (Smelser, 1963).

აღსანიშნავია, ასევე იმ ექსპერტთა აზრიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ განათლების მიღება ხდება განათლებისთვის და დასაქმება არის მეორეხარისხოვანი. მათი აზრით, განათლებისადმი მზარდი მოთხოვნა დამოკიდებულია, ძირითადად, განათლების მიღებისა და განვითარების სურვილთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაჩნდეს განათლების მიმართ პრაქტიკული დაინტერესება, რაც გულისხმობს მის გამოყენებას მხოლოდ დასაქმებისთვის. მათი აზრით, შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო დასაქმებისთვის მომგებიანი სფერო, განსაკუთრებით დღეს, როდესაც არაფერია ხანგრძლივი და ადგილი აქვს მუდმივ განახლებასა და ცვლილებებს. გარდა ამისა, ადამიანები კლასიფიცირდებიან შესაძლებლობების მიხედით. ზოგისთვის ტექნიკური მიმართულებები არის ძლიერი მხარე, ხოლო ზოგისთვის - ჰუმანიტარული. შესაბამისად, მათი აზრით, წარმოუდგენელია ადამიანმა შაბლონური პრინციპით დაისწავლოს ის, რაც უზრუნველყოფს მისი დასაქმების მაღალ შანსს.

> *,,განათლება განათლებისთვის და არა დასაქმებისთვის, ბევრი ადამიანი იმიტომ აბარებს უმაღლესში, რომ განათლება მიიღოს. იმ წუთას საერთოდ არ ფიქრობს, რამდენად დაეხმარება დასაქმებაში, სწორად აირჩია თუ არა პროფესია, დაეხმარება თუ არა იმ პროფესიაში დასაქმება, რაც აინტერესებს. შესაბამისად, განათლება განათლებისთვის არის ძირითადი'' (ექსპერტი_8).*

განათლების ძირითადი ფუნქციები ყოველთვის შესაბამისობაშია საზოგადოების მდგომარეობასა და მოთხოვნებთან, ამიტომ მათი გადასინჯვა, როგორც წესი, საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. თავის ზოგად ფუნქციებთან ერთად, რომელშიც უმთავრესი ცოდნის გაღრმავება და შემეცნებაა, განათლებას, თავისი სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, შესაბამისი ფუნქციები გააჩნია, რომელთაგან ძირითადია: შემეცნების ფუნქცია, სოციალიზაციის ფუნქცია, ინტეგრაციული ფუნქცია და სხვ. (ქეცბაია, 2014).

გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, ,,განათლება განათლებისთვის" არის წარსულის პროექტი, რომელიც დღეს ვერ ან არ გვხვდება, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ, რაც არ უნდა მატერიალური მოგების თვალით უყურებდე ცოდნის მიღებას, მისი მთავარი ფუნქცია ყოველთვის განათლების მიღება იქნება.

დასკვნა

ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის ხარისხის შეფასება მოხდა ექსპერტების მხრიდან. ისინი განათლებისა და შრომის ბაზრის მიმართებას სხვადასხვგვარად განიხილავენ. კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიგნებას წარმოადგენს ის, რომ ახალგაზრდებისთვის უმაღლესი განათლების მიღებაში ჩართვა არის წარმატებულად დასაქმებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა, რის გამოც უწევთ სხვადასხვა შემეცნებითი კურსის გავლა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მათი ბაკალავრის ხარისხის მოპოვების გამძაფრებული სურვილი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდას უკავშრდება, რადგან დღესდღეობით ამის გარეშე უბრალოდ ვერ დასაქმდებიან.

ექსპერტების აზრით, ზოგიერთ სამსახურს, ცხადია, უმაღლესი განათლება არ სჭირდება, თუმცა დამსაქმებლების მოთხოვნებში უმაღლესი განათლების ქონა კვლავ იკავებს უმნიშვნელოვანეს ადგილს და, ხშირ შემთხვევაში, ეს მაგისტრატურის საფეხურსაც მოიცავს. ამის მთავარ მიზეზად სახელდება ის, რომ ეს კრიტერიუმი დამსაქმებლებისთვის არის ერთგვარი სიგნალი იმისა, რომ კადრი პასუხისმგებლობის მქონე, ,,გონებაგახსნილი" და მოტივირებულია და უშუალოდ მის განათლებას არ უსვამს ხაზს. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ აყვანილი კადრების უმეტესობას არ აქვს საჭირო ცოდნა და დამქირავებელი ვალდებულია გადაამზადოს ის და მისცეს საჭირო ცოდნა მუშაობისთვის.

საბოლოო ჯამში, ექსპერტული ანალიზის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, ,,განათლება განათლებისთვის" არის წარსულის პროექტი, რომელიც დღეს ვერ ან არ გვხვდება. უმაღლესი განათლების მიღება, კერძოდ, ბაკალავრის დიპლომის ქონა ერთგვარი პრესტიჟია და ის დასაქმებისათვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (2013) *უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე*, თბილისი.

გელაშვილი. ს., შონია. ზ., (2013) *სოციალური სტატისტიკა,* თბილისი. გვ 44

ევროკავშირისაქართველოსთვის, სოციალური მომსახურეობის სააგენტო, საქართველო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვი სამინისტრო (2018) *ვაკანსიების მონიტორინგი რეგიონულ შრომის ბაზრებზე,* თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2017) *უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა ანგარიში*, თბილისი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური (2016) *უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები*, თბილისი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური (2016) *უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის განათლების მისაღები ხარისხის უზრუნველყოფა*, თბილისი

ქეცბაია, კ. (2014) *განათლების სოციოლოგია,* თბილისი : გამომცემლობა უნივერსალი, გვ.47

ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, 2005

Bourdieu, Pierre (1988). *Homo Academicus.* Cambridge, UK: Polity.

Castells, Manuel (1997). *The Power of Identity, The Information Age: Economy, Society and Culture Vol. Л*. Cambridge, Massachusetts; Oxford, UK: Blackwell.

Giddens, A., Sutton, P. W., (2013) *Sociology (7th Edition),* Cambridge : Polity Press

Knerl, L., (2018), 10 *Reasons Why A Bachelor's Degree Is Important,* Boston: Northeastern University

McIntosh, S. (2004). *Education and Employment in OECD countries.* UNESCO. International Institute for Education Planning. Paris

Middleton., Sue (2014) *Henri Lefebvre and Education: Space, History Theory.* Abington and New York: Routledge

Pew Research Center survey (2014) *The Rising Cost of Not Going to College,* Washington, USA

Smelser, Neil J. (1963) *The Sociology of Economic Life.* , N.J: Englewood Cliffs

Sursock, A., Smidt. H., (2012). *Trends 2010: a decade of change in European Higher Education*. EUA Publications.

Webster, F., (2014). *Theories of the Information Society* (Fourth ed.). Oxford: Routledge

Weiss, A. (1995) *Human Capital vs. Signalling Explanations of Wages*. The Journal of Economic Perspectives